

# „საქართველო ვერ განვითარდება თუკი ყველა რეგიონი არ განვითარდა“ საინვესტიციო ფორუმა გურიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები წარმოადგინა



საქართველოს რეგიონები პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლასა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებას იწყებენ. 20 მაისს, ქ. ოზურგეთში, ოზურგ-

ეთის ისტორიულ მუზეუმში გაიმართა რეგიონული საინვესტიციო ფორუმი, რომელსაც კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუ-

ფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებამ წარმოაჩინა რეგიონული და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები პანდემიის შემდგომ პერიოდში და

შექმნა დიალოგისა და დისკუსიის სივრცე ადგილობრივი მეწარმეებისთვის, პოტენციური ინვესტორებისთვისა და საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებისთვის.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **მზია გიორგობიანი**, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედი ხელმძღვანელმა **ანა ჩერნიშოვამ** და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თბილისის ოფისის ხელმძღვანელმა **ალექსანდრ კარნერმა**.

ღონისძიებას, ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **თამარ ქიტიაშვილი**, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი **ილია თამარაშვილი**, პარლამენტის რეგიონული პო-

ლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე **სოზარ სუბარი**, სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია**, სახელმწიფო უწყების „წარმოე საქართველოში“ წარმომადგენლები და გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები.

საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებმა იმსჯელეს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალზე და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა წარმოადგინეს საინვესტიციო პროფილები, რომელთა შექმნაში მათ დაეხმარა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ავსტრიისა და შვეიცარიის მთავრობების დაფინანსებით.

„კარგი საინვესტიციო გარემოს შექმნა ადგილო-

ბრივი ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების საუკეთესო შესაძლებლობაა. საქართველოში უკვე შეინიშნება კრიზისიდან გამოსვლის პირველი ეკონომიკური აღდგენამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა გასავლელი. საინვესტიციო პროფილების მეშვეობით, მუნიციპალიტეტები სწორად შეაფასებენ თავის ეკონომიკურ პერსპექტივებს და ახალი ინვესტორების დაინტერესებას შეძლებენ“, – განაცხადა UNDP-ის ხელმძღვანელმა **ანა ჩერნიშოვამ**.

გურიის ეკონომიკური პოტენციალი და პერსპექტივები სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის რეგიონში **გიორგი სახოკიამ** წარმოადგინა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პრო-



## ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 14 (10384) 24 მაისი, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

რეპორტაჟი

## ფქვილის საწარმო „გურია მქსპრემის“ მუშები გაფიცვას აბრკებენ



ქოზურგეთში, ფქვილის საწარმო „გურია ექსპრემის“ (ამ საწარმოს „გულისტანსაც“ უწოდებენ) თანამშრომლები 3 მაისიდან დღეა გაფიცულები არიან. ისინი ცუდ სამუშაო პირობებს, დაბალ ანაზღაურებას და ხელმძღვანელების მხრიდან არასათანადო მოპყრობას აპროტესტებენ.

—ძალიან ცუდ სამუშაო პირობებში ვეწყვედა მუშაობა, ამას დაუმტეთ ძალიან დაბალი ანაზღაურება. ამიტომ ვაფიცე. ქარხნის ხელმძღვანელობა არ აპირებს ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას —უთხრა ურნალის ტებს გაფიცულმა **გულნარა ქაღიშვილმა**.

—18 დღეა გაფიცული ვართ. რას ვითხოვთ: შრომის პირობების გაუმჯობესებას და შრომის ნორმალურ ანაზღაურებას. ჩვენი ხელფასი 650 ლარს შეადგენდა,

თუმცა, ეს ქალაქზე იყო და ჩვენი ანაზღაურება 250-300 ლარი თუ იყო. გაფიცვის დაწყებისას დავეჩუქეთ მოლაპარაკება საწარმოს ხელმძღვანელობასთან, მაგრამ უშედეგოდ. დრო გაჰყავთ. ჩვენი მოთხოვნა ხელფასის 800 ლარამდე გაზრდა, მაგრამ ურჩევნიათ 10-ჯერ მეტი ზარალი მივიღო, ვიდრე ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ველოდით გურიის მხარის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ჩვენი ბედით დაინტერესდებოდნენ, მაგრამ არავინ შეგვხმანებია. გვაქვს ინფორმაცია, რომ დღეს კომპანია საწარმოში ახალი თანამშრომლების შეყვანას აპირებს, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ —გვითხრა გაფიცულმა **ლალი ურუშაძემ**.

„გურია ექსპრემის“ ხელმძღვანელობიდან ურნალის ტებთან კომენტარი არ გაუკუ-

ამაზე უკეთესი ინფორმაცია რა გინდათ? 82 წლის ქალბატონი **ნათელა გუჯაბიძე** პროფესიას არ იცვლის და დღესაც ჩაის კრეფს თავის საკარმიდამო ნაკვეთში, მეტიც, ნედლეულისგან შავი ბაიხის ჩაის პროდუქციასაც თვითონ აწარმოებს შინ.

ქალბატონი ნათელა სოფელ მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ნაღობილევი ცხოვრობს. ბორცვზე შეფენილ კარმიდამოში, აღმოსავლეთის ფერდობზე 700 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია აქვს, საიდანაც სეზონზე 800 კილოგრამამდე ნედლეულს კრეფს. პლანტაცია, ფოთლის შეფერილობითა და სტრუქტურით თუ ვიშ-ჯელებით,სავარაუდოდ, „კიმინის“ ჯიშის ჩაით უნდა იყოს გაშენებული.

როგორც თვითონ ამბობს, ზედმიწევნით იცავს ჩაის მოვლა-მოყვანის აგროწესებს. აი, ნედლეულის გადამუშავებაში კი საკუთარი, უფრო სწორად, დედისეული „ტექნოლოგია“ გააჩნია, რომელსაც იგი „ოჯახურ“ უწოდებს. მიღებული პროდუქცია ერთ, ანაღაზრდა ქუთაისელ ბიზნესმენს მიაქვს, რომელსაც იგი,

## „ალიონი“ მერიასში



**ნათელა ურუშაძე: „ახლა რასაც გეტყვით, არც ზღაპარია და არც ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, სტალინის უგზავნიდნენ დედაჩემის მიერ დამზადებულ შავი ბაიხის ჩაის“.**

დაფასობის შემდეგ, საექსპორტოდ ამზადებს. ქალბატონი ნათელას ერთ კილოგრამ პროდუქციაში 50 ლარს უხდის. წლეულს 10 ლარით გაუზრდია შესასყიდი ფასი. ქალბატონი ნათელასაც პროდუქციის პირველი პარტია უკვე თითქმის გამზადებული აქვს.

ორი ქალიშვილის დედაა,

ორივე ქმარ-შვილიანია. ეზო-პორტოდ ამზადებს. ქალბატონი ნათელას ერთ კილოგრამ პროდუქციაში 50 ლარს უხდის. წლეულს 10 ლარით გაუზრდია შესასყიდი ფასი. ქალბატონი ნათელასაც პროდუქციის პირველი პარტია უკვე თითქმის გამზადებული აქვს.

„მეუღლის გვარს ვატარებ,

ისე, ჩემი გვარი ქუციანიძეა, წარმოშობით მთიული ვარ. ამოსადირკვად ვერ ვავიშვებ, ჩაიზე უკეთესი ამ ადგილზე რა უნდა გამეშენებია. ახალგაზღობაშიც ვკრეფდი ჩაის. დედა მყავდა გურული, ღლონტის ქალი, მარიაში ერქვა



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქციური  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
**558 499100**  
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
**599 373515**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
**551 576060**  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე  
**«ალიონი»**

## „საქართველო ვერ განვითარდება თუკი ყველა რეგიონი არ განვითარდა“

### საინვესტიციო ფორუმმა გურიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები წარმოაჩინა



ფილი ევრონობა მის გეოგრაფიულ და ეკონომიკურ უპირატესობებს - ფოთისა და ბათუმის პორტებთან და ქუთაისის აეროპორტთან სიახლოვეს, სასოფლო-სამეურნეო პოტენციალსა და კვალიფიციური ადამიანური რესურსების არსებობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შავ ზღვაზე პირდაპირ გასასვლელს, სუფსას ნავთობის მოპოვებულ ჭაბურღილს, ტურიზმის განვითარების პოტენციალსა და ბუნებრივ რესურსებს, რომელთა შორისაა კოლხეთის ეროვნული პარკი. ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ინვესტორთა დაინტერესების გზას რეკრეაციული და სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში ხედავს. შესაბამისად, მის საინვესტიციო პროფილში ასახულია ზღვისა და მთის კურორტები, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებისა და გადამზადების ადგილობრივი შესაძლებლობები.

გურიის რეგიონის ამ შთაბეჭდავი პოტენციალის მიუხედავად, უმუშევრობა აქ 16 პროცენტს აღწევს, ხოლო ტურიზმი ჯერაც სუსტადაა განვითარებული. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, გურიას ყველაზე ნაკლები ტურისტის სტუმრობს, ხოლო საერთაშორისო მიზნობრივების წილი საქართველოს მთლიანი ტურისტული ნაკადის მხოლოდ 1.3 პროცენტს შეადგენს. „საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას, რადგან ეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ქეკუთხეა. ჩვენი მიზანია ასეთი პარტნიორობის გაღრმავება, ახალი შესაძლებლობების შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა, რაც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების და შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი**.

სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა **დანიელ მეელიმ** ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივი განვითარება დამოკიდებულია დაინტერესებული მხარის თანამშრომლობაზე. „ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება და მოსახლეობა - სწორედ მათი ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა განაპირობებს ადგილობრივი განვითარების წარმატებას. ყველა რეგიონი და ყოველი მუნიციპალიტეტი გამოირჩევა უნიკალური მახასიათებლებით, რომლებიც ინვესტორებს იზიდავს და ქმნის საფუძველს ახალი ეკონომიკური აქტივობებისთვის“, - აღნიშნა **მეელიმ**. „ავსტრია საქართველოს უცვლელი პარტნიორია რეგიონების ეკონომიკურ აღდგენასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა და მიწოდების ჯაჭვების გაძლიერება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდაში და მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში“, - განაცხადა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თბილისის ოფისის ხელმძღვანელმა **ალექსანდერ კარნერმა**. გურიის საინვესტიციო ფორუმი გაიმართა გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით.

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):

- დღევანდელ ფორუმზეც რეგიონში სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებაზე საუბარი. ქ. ოზურგეთში, მჭიდროდ დასახლებულ უბანში, შს „**არქარს მეთალი**“ და „**მანსაროვარი**“ მორადი ნედლეულისაგან ფერადი ლითონების წარმოების ტოქსიკური საწარმოს მშენებლობას გვემხვს, რაზედაც მათ მარშმ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განხილვის პირველი ეტაპი მოსახლეობის ჩართულობის გარეშე გაიარეს და რომ არა ოზურგეთის მოსახლეობის დიდი პროტესტი, სამინისტრო მათ მორად ეტაპზე მშენებლობის ნებართვას მისცემდა. წლების გამოცდილება აქვს ოზურგეთელებს, თუ რა ზიანი მიაყენა მოსახლეობის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას

## რეგიონულ საინვესტიციო ფორუმზე, გაზეთი „ალიონის“ შიდასაგარეო მისიის დროის ამოწურვის მოტივით უკანსვლად დატოვდა

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):



ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):

ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის ორგანიზატორებს მეტად თვით კითხვით, რომელიც ქ. ოზურგეთში ფერადი ლითონების (ალუმინი, ტყვია და სხვა) ტოქსიკური საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხებოდა. (გთავაზობთ შინაარსს):

## დოკუმენტური ფილმის „ექვთიმე“ ჩვენება

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ანდრო ჭიაურელის დოკუმენტური ფილმის „ექვთიმე“-ს ჩვენება. მუზეუმის სტუმრები იყვნენ პირველი და მეორე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები. მუზეუმის თანამშრომლებმა ბავშვებს გაცნეს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ინფორმაციები და ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების მოკლე ბიოგრაფია.



## შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია ბრძოლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ სოფელ მელექელურში დაზიანებული საგზაო მონაკვეთი მონახულა, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტი მზად არის და გზის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში განხორციელდება.



# „ალიონი“ მერიას



სახელად. მისგან ავითვისე ჩაის დამზადების ოჯახური ტექნოლოგია. ახლა რასაც გეტყვით, არც ზღაპარია და არც ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, სტალინს უგზავნიდნენ დელ-აქემის მიერ დამზადებულ შავი

ჰყავს. ეს არც პიარია და არც რეკლამა, ეს ახალგაზრდა, 35 წლის, უკვე ავტორიტეტული კაცი საოცრად უყვართ მშობლიური სოფლის ყველა კუთხე-კუთხულში. მერია ერთ-ერთი დიდი



ბაიხის ჩაის“, – ამყად გვი-თხრა ქალბატონმა ნათელამ. გამიჭირდება იმის თქმა, რომ ეს იყო სოფელ მერიაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის

სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის მიხედვით. აქ 1300-მდე კომლია, აქედან 1000-მდე კომლი მუდმივად მოქმედა.



ნუგზარ (ნუკრი) ხომერკის სპეციალურად ჩვენთვის გაკეთებული სიურპრიზი. სამაგიეროდ, იმის თქმა ნამდვილად შემიძლია, რომ სოფელ მერიას უნარიანი თავკაცი

სეზონურებით რომ ხასიათდებოდნენ, ისეთი კომლექტია. ვერ ვიტყვით, რომ მიგრაცია ძლიერია, თუმცა, არც მთლად უმაგისობაა, რადგან გარკვეული რაოდენობის სახლები

გამოკეტილია. მერიაში 19 მაისს ვიმყოფებოდით. წინა დღის ძლიერმა ქარმა აქ გარკვეული ზარალი მიაყენა მოსახლეობას. სწორედ ამის გამო, არ დაგვიხვდა ადგილზე ნუკრი ხომერკი, მისი თანაშემწის ნანული ხურციდის თქმით, იგი, შესაბამისი ინფორმაციის მიღებისთანავე, უმაღლეს დონეზე ოჯახებში გასულა. მერის წარმომადგენელთან ერთად, ჩვენ დილის საათებში მოვინახულეთ **თამაზ გობრონიძისა და გიორგი გორგიციანი** ოჯახები. ორივე ოჯახი სოციალურად შეჭირვებულია და ორივეს, ძლიერი ქარისგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლი გადასახურავია. ნუკრიმ გვითხრა, რომ სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია დღის ბოლოსთვის ექნებოდა.

სოფელში, ერთ დროს, წამყვანი დარგი იყო მეჩაიობა. ეს ფართობები ახლა უმეტესად თხილის კულტურას უჭირავს. ციტრუსოვანთა კარგი ბაღები აქეთ ნაღობილევისა და ხვარბეთში, ასევე გოგორეთის უბანში, თუმცა, უჭირთ მოწყვეტილი მოსავლის რეალიზაცია. აქ-იქ შეინიშნება ახალი კულტურის – ლურჯი მოცვის მცირეკონტურინი პლანტაციები. კერძო სექტორში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც ჰყავთ.

ტერიტორიულად ვრცელ და რელიეფურად ჭრულ სოფელში ბოლო ორი წელია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგზაო ინფრასტრუქტურას. დაიგო როგორც რკინა-ბეტონის, ისე ასფალტის გზები. ხვარბეთში, სადაც ყველაზე მწვეველ იდგა საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემა, დამთავრდა ერთი, 3 კმ სიგრძის და ინტენსიურად მიმდინარეობს მეორე, 5,5 კმ სიგრძის გზის მშენებლობა. საგზაო სამშენებლო სამუშაოებს შპს „პალადა“ ახორციელებს (სამუშაოთა მწარმოებელი **ტარიელ ნანიტაშვილი**).

საგზაო ინფრასტრუქტურა მომავალ წლებშიც სოფლისთვის ერთ ერთი პრიორიტეტული საკითხი იქნება.

სულ მალე მერიის თემი, მასში შემავალი სოფლები (მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი), ყველა უბანი ბუნებრივი აირის სიკეთით ისარგებლებს. მთლიანად დამთავრებულია სოფელში გაზიფიცირების ბოლოსწინა ეტაპი (დაქსელვა), ბოლო ეტაპიც (ბუნებრივი

აირის ოჯახებში შეყვანა, ე. წ. დაერთება) მალე დაიწყება და მჭიდრო ვადებში დამთავრდება.

თანდათანობით გვარდება სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა არტეზიული ჭებების საშუალებით. ნუკრი ხომერკის თქმით, ერთი არტეზიული ჭა უკვე ამარაგებს ხარისხიანი სასმელი წყლით ნაღობილევის მესამე უბანს. მეორე არტეზიული ჭაც მზადაა, მალე შევა ექსპლუატაციაში და სხვა უბნებსაც უპრობლემოდ მიეწოდება წყალი.

დიდი, საღვთო საქმე გაკეთდა გოგორეთის უბანში, „შინმოუსველთა გორაზე“ ამ ცოტა ხნის წინათ აკურთხეს ახალგაგებული, 100 ათასი მოწამის სახელობის ეკლესია. მოძღვარი **მამა აკაკი (გორდელაძე)**. ახლა აუცილებელია, ამ მწვეანეში ჩაფლული ღვთის სახლის მოპირკეთება.

სოფელ მერიაში საბავშვო ბაღი სოფლის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარეობს. რა თქმა უნდა, ბავშვებისათვის მოსალოდნელი კოვიდსაფრთხის აცილების მიზნით, მეორე სართულზე არ ავსულვართ. ბაღის მენეჯერს, ქალბატონ **ანა ნასარაიას**, ბოდიშის მოხდით პირველ სართულზე ვუხმეთ.

როგორც ქალბატონმა ანამ გვითხრა, საბავშვო ბაღში 11 აღმზრდელ-პედაგოგი და 33 აღსაზრდელი ჰყავთ. თუმცა, სოფელში აღსაზრდელთა კონტიგენტი გაცილებით მეტია, მაგრამ შენობაში საბავშვო ბაღისთვის გამოყოფილი ოთახებში შეუძლებელია მეორე ჯგუფის გახსნა. პანდემიური სიტუაციის გამო, იკლო აღსაზრდელთა გამოცხადებამ, ჯგუფში ყოველდღიურად საშუალოდ 12-12 ბავშვია. ყველას უტარდება თერმოსკრინინგი და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები. საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით, ჯგუფში არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ნუკრი ხომერკის თქმით, არსებობს სოფელ მერიის ბაგაბაღის ახალი პროექტი, მაგრამ მშენებლობის საკითხი როდის გადაწყდება, ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება ხვარბეთის ახალ საბავშვო ბაღს, ის უკვე მზად არის ექსპლუატაციაში შესასვლელად.

ასევე ადმინისტრაციის შენობაშია განთავსებული სოფლის ბიბლიოთეკა, რომლის წევრადი ფონდი 3600 ეკზემ-



ქლარს შეადგენს. როგორც მუშაობს სამედიცინო ამბულატორია. **მზევინარ ხომერკმა** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მერიას საკმაოდ დავტოვებდით ჩვენი მეგობრის, კარგი მკითხველი საზოგადოება ჰყავს, ბოლო დროს შეინიშნება ახალგაზრდების გააქ-

ბიბლიოთეკარმა **მზევინარ ხომერკმა** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მერიას საკმაოდ დავტოვებდით ჩვენი მეგობრის, კარგი მკითხველი საზოგადოება ჰყავს, ბოლო დროს შეინიშნება ახალგაზრდების გააქ-



ტიურება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკა წარმატებით მონაწილეობს ოზურგეთის სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროსა და აქტიური ბულგარული საზო-

საფლავი რომ არ მოგვენახულებინა. მოკლედ, მერია დიდი პერსპექტივის სოფელია. შეიძლება ითქვას, რომ აქ გაღვივდა ბულგარული საზო-



გაღვივდა ბულგარული საზო-

ვიდრე იყო გუმინ და უფრო უკეთესი იქნება ხვალ, ვიდრე არის დღეს.

**თამარ მარშანიშვილი**

უთრებული სიფრთხილით

# "ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია"



„ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია“- ეს არის სახელწოდება პროექტისა, რომელსაც „კავშირი ქალთა ცენტრი“ ძღვეთის გურიის რეგიონული კომიტეტის ჩართულობით ახორციელებს. დღითიდღე ვრცელდება, რომ პრობლემა აქტუალურია. ბავშვზე ძალადობისა და უგულბელოების შემთხვევების ადრეული იდენტიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ძალადობა მოქმედებს ბავშვის სხეულზე თუ სულიერ განვითარებაზე. მოძალადე გულისხმობს მსხვერპლს. მოძალადეცა და მსხვერპლიც ჯანსაღი საზოგადოების ტკივილია.

პროექტი ასევე ითვალისწინებდა სამიზნე სკოლების მშობლებთან შეხვედრებს. მშობელთა ჩართულობას აღნიშნული პრობლემის პრევენციის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეხვედრების შემდეგ

მშობლები ღიად აცხადებდნენ, რომ ხშირად დაუშვით შეცდომები, რომლებზედაც ადრე წარმოადგენა არ ჰქონდათ, მაგალითად: არ გაუთვალისწინებიათ შვილების გარდატეხის ასაკი, ინტერესები, ვერ უთმობდნენ სათანადო დროს და ა. შ. ისინი გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რომ ძალადობის პრევენციის კუთხით ცნობიერების ამაღლება სჭირდებათ...

აღნიშნული პროექტი გლობალურ პანდემიამდე ჩაისახა, განხორციელებისას კი აღმოჩნდა, რომ პანდემიამ კიდევ უფრო აქტუალური გახდა მისი მიზნებიცა და ამოცანებიც.

პროექტი ოზურგეთში გასული წლის გაზაფხულიდან დაიწყო. მასში სამიზნე სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი. შეხვედრები მიმდინარეობდა, როგორც კონტაქტურ, ისე

ონლაინ რეჟიმში. ჩართული პედაგოგები იყენებდნენ სხვადასხვა ინტერაქტიურ მეთოდსა და აქტივობას, რომელთა მიზანი ძალადობის აღმოჩენა და პრევენცია იყო, შეხვედრების თემატიკა – სტრესი, აგრესია, კონფლიქტი, სტრესული მდგომარეობა პანდემიის პირობებში, ტოლერანტობა, სტერეოტიპები, ადამიანი და საზოგადოება – ყველაფერი ის, რაც ძალადობას პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება. მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ კავშირ „ქალთა ცენტრის“ ხელმძღვანელის, პროფესორ ია ვერულაშვილის წიგნს „კონფლიქტები ახალგაზრდულ გარემოში“.

სხვადასხვა სახით ორგანიზებული სასწავლო მეთოდები და აქტივობები მოსწავლეთათვის სახალისო იყო. მასწავლებლებს განსაკუთრებით დაეხმარა პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგები, მოწვეული სპეციალისტების – ფსიქოლოგების: ჯანა კახიანი, სოფო ვერულაშვილის, კონსტანტინე პოხოვის, სოციალური მუშაკის – ეთერ ცხაკაიას მასტერკლასები. აღნიშნულ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას, პროფესიონალთა რეკომენდაციებს პედაგოგები ითვალისწინებდნენ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობაში. (სურ)

პროექტმა დაადასტურა, რომ მას საგანმანათლებლო დატვირთვაც ჰქონდა. განათლებული თაობა თავისთავად ძალადობის პრევენციის გარანტორიცაა. არაფორმალურმა გარემომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას შეუწყო ხელი. მათი ინტერესი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის: მათთვის ნაც-

ნობმა პრობლემებმა. გარემომ, თემ-ატიკამ...

მოსწავლეები იყვნენ გახსნილები. ისინი ფიქრობდნენ, იხსენებდნენ, თამამად საუბრობდნენ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ლიტერატურული ნაწარმოებებისა და რეალობის შედარება. მათ შეძლეს შესაბამისი არგუმენტების მოყვანა პირად გამოცდილებიდანაც. პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთნენ ლიდერებიც, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესდნენ პრობლემით და მოამზადეს პრეზენტაციები. ერთ-ერთი საინტერესო თემა „კონფლიქტი“ იყო. მოსწავლეებმა შეისწავლეს კონფლიქტების სახეები, ფორმები. მსჯელობდნენ კონფლიქტების გადაჭრის ხერხებზე, შექმნეს რესურსები კონფლიქტების შესახებ. თავიანთ მუშაობას ისინი აფასებდნენ

ნოვითშეფასების კითხვარის შევსებით.

პროექტი ასევე ითვალისწინებდა სამიზნე სკოლების მშობლებთან შეხვედრებს. მშობელთა ჩართულობას აღნიშნული პრობლემის პრევენციის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეხვედრების შემდეგ მშობლები ღიად აცხადებდნენ, რომ ხშირად დაუშვით შეცდომები, რომლებზედაც ადრე წარმოადგენა არ ჰქონდათ, მაგალითად: არ გაუთვალისწინებიათ შვილების გარდატეხის ასაკი, ინტერესები, ვერ უთმობდნენ სათანადო დროს და ა. შ. ისინი გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რომ ძალადობის პრევენციის კუთხით ცნობიერების ამაღლება სჭირდებათ.

### მაია პირიამ,

„კავშირი ქალთა ცენტრის“ ძღვეთის გურიის რეგიონული ორგანიზაციის თანამშრომელი.



## ალიონი 90

# 1937 წელი

### 100 წლის მოხუცი

გოგიეთში (მაკვანეთის სოფლსაბჭო) ცხოვრობს 100 წლის მოხუცი სოლომონ ცეცხლაძე, რომელსაც ცხოვრების 100 წელი შეუსრულდა.

მოხუცი ახლაც ჯანსაღად გრძნობს თავს, მუშაობს ოჯახში.

სოლომონი ზიზით იხსენიებს ძველ საზიზლარ ცხოვრებას, თუ რა მდგომარეობაში იყო გლეხი წინათ.

–ახლა მხიარულად ვგრძნობ თავს საბჭოთა ქვეყანაში. გამამხნევა და ახალგაზრდული ენერჯია შემმატა სტალინურმა კონსტიტუციამ, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა ქვეყნის დიდ მიღწევებზე – ამბობს იგი.

იგი ხშირად ესაუბრება ახალგაზრდებს ამ ღუზჭირი ცხოვრების შესახებ, რომელიც განვლო მან მემამულეების, მეფისა და შედეგ მენშევიკების ბატონობის დროს.

### მ. ცეცხლაძე

№36, 14 მაისი, 1937 წ.

### მოვსაოთ მინშვილი-ტროცკისტული ნაბოლარაბი

(მაკვანეთი)

(ამონარიდები წერილიდან)

„რას დაგვაკლებს მტერი აგროტექნიკოსის თანამდებობაზე“ –ო ასე ფიქრობენ ზოგიერთი ადამიანები მაკვანეთიდან. მათ შეუძლიან აგრეთვე სთქვან: ჩვენს ძლიერებასთან შედარებით, მტერი ყოველთვის უძლური და უილაჯოა“.

მაგრამ აქ ეს ადამიანები სასტიკად ტყუვდებიან.

ამხ. ლ. ბერიამ საქ კ.პ. (ბ)

მეათე ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოში ჯერ კიდევ არიან განადგურებული ანტი-საბჭოთა პარტიების, კერძოდ, ქართველი მენშევიკების ნაშთები. ტროცკისტთა მუშაობამ ისინი გამოაცოცხლა და აქტიური გახდა. მათ ფიზიკლად უნდა ვადევნოთ თვალყური და დაუნდობლად მოვსპოთ ყველა, ვინც კი თავის წამოწევას შეეცდება.“

ასეთ მენშევიკურ-მავნებლურ მოქმედებას ადგილი აქვს მაკვანეთის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობაში მთელი სამი წლის მანძილზე აგროტექნიკოსად მუშაობს ვიდაც მენშევიკი და გაიძვერა ივანე თიკანაძე.

თიკანაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1924 წლის მენშევიკურ ავანტურაში. ის იარაღით ხელში ებრძოდა მაკვანეთის კოლმეურნეობის მოსახლეობას და ეს პირწავარდნილი მენშევიკი მშრომელთა ნებით ორი წლით შორეულ მხარეში გადაასახლეს...

ესლა ვიკითხით, თუ როგორ ყურადღებას აქცევს ეს გაიძვერა მენშევიკი ჩაის მოვლა-პატრონობას?

„ქურდს კარამდე მიყვები“ ნათქვამია. ჩვენც მივყვით და შევამოწმოთ მისი მუშაობა.

რას ჰგავს მასზე გაპიროვნებული ჩაის ნაკვეთი „სატურას“ სახელწოდებით? მაკვანეთის ხელმძღვანელი ამხანაგები ამტკიცებენ, რომ ამ ნაკვეთზე გაშენებულია 35 ჰექტარი ჩაი. მაგრამ სინამდვილეში ჩაი მხოლოდ 10-12 ჰექტარზეა

გაშენებული, დანარჩენი ადგილი განადგურებულია, გამხმარი, მოთხრილი და სხვა.

ნაკვეთში რემონტის ჩატარებაზე აგრო-ტექნიკოსს არ უფიქრია, ან რატომ უნდა ფიქრა, მას ხომ გული არ შესტკივა საბჭოთა ჩაიზე, თუ სწორად ვიტყვი, ნაკვეთის რამდენიმე ნაწილი გარემონტებულია, მაგრამ უხარისხოდ და ყოვლად უარგისად. პლანტაციის თითქმის ყოველდღე შეხვედრით 30-40 სულამდე პირუტყვს. თავის დროზე არ შეიტანეს აზოტოვანი სასუქი ჩაიში. აქ ახლაც ნახავთ მინდვრად დაყრილ რამდენიმე კილოგრამ აზოტოვან სასუქს.

პლანტაცია დანაგვიანებულია, შით შეხვედრით ყორებს, გვირბიებს, მოჭრილ სარეველა ბალახს. ერთი სიტყვით ყველა ადამიანი იფიქრებს, რომ პლანტაციას ხელმძღვანელობს ვიდაც ვიკინდარა.

ივანე თიკანაძე ეს „კვალიფიციური“ აგრო-ტექნიკოსი ზის და გულდამშვიდებით უყურებს ამ მდგომარეობას, ის სისტემატურად იგვიანებს, ხშირად არც კი გამოდის სამუშაოზე.

ხემათ ხსენებული ფაქტები ნათლად ლაპარაკობენ, რომ ამ ბნელი წარსულის მქონე აგროტექნიკოსს, მენშევიკურ მავნებლურ წარსულიდან დღემდე ვერ გაუნთავისუფლებია თავი, მისი მავნებლური მუშაობით ის დღემდე აგრძელებს ხელის შემლახ ჩაის კულტურის განვითარების საქმეში, კოლმეურნეების ბედნიერ კულტურული ცხოვრების საქმეში.

საჭიროა მთელი რაიონის ყველა პატიოსანი აგრონომები და აგრო-ტექნიკოსები და ყველა მშრომელი იცნობდეს ამ გამოუსწორებელ მენშევიკ მავნებლის სახეს და საზიზლარ ბოძზე აკრავდეს მის მის მავნებლურ მოქმედებას.

### მაკვანეთელი №44, 3 ივნისი, 1937 წ.

### დასაგმობი საქციელი

სილაურის კოლმეურნეობის წევრი ირაკლი კილაძე ანადგურებს კოლმეურნეობის ქონებას. ამ წლის იანვარში ის მისი თხოვნის თანახმად, ინიშნება მესაქონლეობის ფერმის მწვემსად, მისი დაუდევრობით ა უპასუხისმგებლობით ფერმაში მოკვდა 3 წლიანი ღეკეული. ეს თავის დროზე მხილებულ იქნა კელდის გაზეთში, კილაძის დაუდევრობა დადასტურდა. ღეკეულის ღირებულება 700 მან. რაოდენობით მას უნდა გადაეხადა, მაგრამ დღემდე არ გადაუხდია. კილაძე მტკიცად სჩადის, ის უშვებს თავის საქონლებს ჩაისა და ციტრუსის პლანტაციაში (10 აპრილი, ღამის 2 საათი) საქონელი დაკავებულ იქნა და ჩააბარეს ფერმას, მაგრამ ფერმიდან კილაძემ საქონლები „დააძვრინა“. საქმე გადაეცა რაიონულ სასამართლოს შესაფერი ზომების მისაღებად. მაგრამ კილაძე მაინც არ სწორდება. მან უდიერი მოპყრობით აზარალა კოლმეურნეობას 3 ცალი ხარ-კამჩი.

კილაძის საქციელი კოლმეურნეობაში უკმაყოფილებას იწვევს.

### ლეო გოგუაძე №44, 3 ივნისი, 1937 წ.

### ჩხენი სიზნალის შამილე

სოფლის ახალი სახელწოდება ამ რამდენიმე დღის წინათ „ლენინის დროშა“-ს რედაქციამ მიიღო წერილი, რომლითაც ავტორი არტემ მესხიძე იტყობინებოდა, რომ კონტკათის სოფლსაბჭოში შემაჯალ ერთ-ერთ უბანს დღემდე შენარჩუნებული აქვს ძველი, ხუცური სახელწოდება – „მონასტერ-ჭანიეთური“, ეს სახელწოდება არ სეფერის დღევანდელ აფგავებულ სოციალისტურ სოფელს.

ავტორი დასძენდა, რომ კარგა ხანია, რაც მშრომელთა მოთხოვნის საფუძველზე კონტკათის სოფლსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული სოფლისათვის ახალი სახელის – „განთიადის“ დართქმევის შესახებ, მაგრამ დღემდე ეს დადგენილება არაა განხორციელებული.

რედაქციამ ეს წერილი სათანადო ზომების განსახორციელებლად გაუგზავნა მასხარაძის რაიონალურ კომს, რომელიც იტყობინება, რომ რაიონალურ კომის პრეზიდიუმის მიერ აღძრა მუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა დაკმაყოფილებული იქნას კონტკათის სოფლსაბჭოს მოთხოვნა „მონასტერ-ჭანიეთურისადმი“ განთიადის დართქმევის შესახებ.

### №51, 22 ივნისი, 1937 წ.

# ნუკრი – 65



1 5 მ ა ი ს  
ს ნატომ დაგვირეკა: ბიჭებო, ნუკრი დამილოცეთ, ხვალ სამოცდახუთისა ხდება! გაგვიხარდა... გაგვიხარდა, რომ შენი მეუღლე ისევე რუღუნებით გვიღობდა და ზრუნავდა, გაცოცხლებდა და, შენ წარმოიდგინე, ახლაც, გარდაცვალების შემდეგაც გაცოცხლებს. აფერუმ მის ქალობას! გვეტკინა... უსაშველოდ გვეტკინა, რომ საფლავზე მოხვლით უნდა მოგველოცა იუბილე. გვინდოდა, რაღაც გვეთქვა, უბრალოდ მოგვერებოდით, მაგრამ ქვაში ამეტყველებულს რომ შეგხედეთ, ენა დაგვება, დავფრთხიოთ, ვაითუ საკადრისი ვერ


ვიქნებით, მერე ბახვში გადავინაცვლებთო. ყველასგან განსხვავებული იუმორი გქონდა, სხარტი, ხალისიანი, გუნებაზე მომყვანი. ყოველ დღით გვასაზრდოებდი შენი სხარტულებით. ერთ-ერთს კი არა, ერთადერთს შეგეძლო, მოკლედ, კალმის ერთი მოსმით ამომწურავად გადმოგეცა უზარმაზარი ამბავი, შეგექმნა ისეთი წერილი, შედეგს რომ ეძახიან. შენ არ ხარ მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკის დანაკარგი, ვინც შენს მოთხრობებს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ შენ უკვე შენი სიტყვა და წონა გქონდა ქართულ პროზაში. რომ არა შენი ზედმეტი მორიდებულობა, ახლა ერთი პატარა წიგნის ავტორი კი არ იქნებოდი, არამედ მრავალტომეულებისა. ის ერთი კი, იმდენად ძვირფასია, სამაგიდო წიგნია ჩვენი რედაქციისთვის.

ამაყები ვართ „ალიონელები“, რომ ჩვენთან საქმიანობდი, ჩვენთან ფუსფუსებდი, ჩვენი საუკეთესო მეგობარი იყავი.

არა! არ უხდება ამ ბოლო წინადადებას წარსული დრო, ამიტომ მოდი, ასე ვთქვათ: ამაყები ვართ „ალიონელები“ რომ ჩვენთან საქმიანობ, ჩვენთან ფუსფუსებ და ჩვენი საუკეთესო ძმა და მეგობარი ხარ! შენ ხომ ნუკრი ხარ, ნიკოლაიშვილი!!! არ გემშვიდობებით.

„ალიონელების“ სახელით  
**თამარ მარშანიშვილი.**

## იუბილე იური სისარულიძე 95 წლისაა



ქართული საისტორიო მწერლობის უნიჭიერესი მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საისტორიო გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ქართული სამართლის, ქართული ლიტერატურის ისტორიის და სხვათა მკვლევარი, პროფესორი იური სისარულიძე 95 წლისაა. იგი არის 20-მდე წიგნისა და ხუთი ათასზე მეტი სტატიის ავტორი, ვაჟა-ფშაველასა და ივანე ჯავახიშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, მოძღვრალი (ცნობილი მოკრიშაჭულე).

იგი 1926 წლის 24 მაისს დაიბადა ზემო გურიაში. იზრდებოდა ჩოხატაურის გიმნაზიის პირველი თაობის წარჩინებული მოსწავლის მოსე სისარულიძის ოჯახში.

იური სისარულიძემ საქართველოს ისტორიის კვლევა გასული საუკუნის 30-იანი წლების სუა ხანებიდან დაიწყო, როდესაც ბათუმის საბაზო და სანიშუმო სკოლაში ( №35 სკოლა), სწავლობდა.

1949 წლის მარტში ის უკვე სერიოზული გამოკვლევით წარდგა საქართველოს სტუდენტთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. ქუთაისს და ქართული საისტორიო მწერლობის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ყურადღებაც მიიპყრო, ხოლო 1953 წლის მაისში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც მიიპოვა.

„იური სისარულიძე ჩემი მოწაფეა, რომელმაც კარგახანია წარმატებით მუშაობს საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში. უკვე გამოსცა საქართ-

ველოს ტოპონიმიკის ორტომეული ჩემი რედაქციით (1958-1959 წ.წ.) მზად აქვს დასაბეჭდად „აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიულად“ და ა.შ.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ი. სისარულიძე „მგლის მადით“ მოვიდა და საისტორიო გეოგრაფიის გარდა იგი ისტორიის სხვა დარგებშიც (პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ქართული საისტორიო მწერლობა და სხვა) დიდი გაცემებით იღვწის –წერდა ნიკო ბერძენიშვილი 1964 წელს.

1969 წელს იური სისარულიძე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გახდა და პროფესორიც. არჩეული იყო რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრად.

იური სისარულიძე დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ბოლო მოწაფეა. ჯანმრთელობა გვინდა ვუსურვოთ ამაღარ მეცნიერს.

# მსკლუზიმი ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

გამოცემა გოგუაქი

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-12, 2021 წ



– რა საქმეა, თენგიზ?  
– მისმინე ყურადღებით, ნატანებში ჩამოხვალ. სადგურიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში ცხოვრობს ებრაელი ვაჭარი არონი, ყველა იცნობს. ის უნდა ნახო. დაიმარტოხე და უთხარი, „სერიმ“ მოკითხვა შემოგივალა და ვალის ასაღებად გამოგზავნა-თქო.

– თენგიზ, რომ არ ჰქონდეს, ან არ მომცეს, მერე რა უნდა ვქნა?  
– ეტყვი, სასწრაფოდ სჭირდება და ამ ფულს ელოდება.

– თენგიზ, მე გამოგვევი ამხელა გზაზე, მაგრამ მუშაკაცი ვარ და შარში ნუ გამხვევ. მილიციას რომ დაუძახოს, ან რომ მითხრას, თვითონ თენგიზი მოვიდესო, მე სად უნდა

განსო?  
– მართალი ხარ, მაგრამ ჩემი იქ გამოჩენა არ შეიძლება, ჩხუბი მომივიდა იქაურებთან და შარი ამყვება...  
– წერილი გამატანე და მივეუტან, ყველაზე კარგი ეს იქნება.  
– წერილი საბუთია, სოსო.  
– ჰოდა, საბუთს რომ მივცემ, მომცემს იმ შენს ვალს.  
სხვა გზა არ იყო, მარტივიანს წერილი უნდა მიეწერა არონისთვის და საბუთი უნდა შეექმნა. რა იცოდა, რომ ამ საბუთის შექმნა მომავალი სამეპრო განყოფილების უფროსის წინადადებით ხდებოდა.  
თითქმის ერთი დღე კუბეში გაატარეს მგზავრებმა.  
ძოულოდნელად მარტივიანი სოს-

ოს ეუბნება:  
– სოსო, მე სოხუმში უნდა ჩავიდევოცი, სანდო კაცი ხარ და პატივისცემა ჩემზე იყოს ამ საქმის მოთავეების შემდეგ. აი, შენ ბილეთი, მე-8 ვაგონში მე-16 ადგილი შენია. შუალაშით მატარებელი სოხუმში შევა. მე იქ საქმე მაქვს. როცა საქმეს მორჩები, ტაქსი აიყვანე და იმით წამოდი, საკმაოდ დიდი ფული უნდა ჩამოიტანო. გელოდები სასტუმრო „ფხანიაში“.

– მე შენი გვარიც არ ვიცი, ვინ უნდა ვიკითხო?  
– ხანდახან ისეთ კითხვებს იძლევი, გამოცდილი ოპერი მგონიხარ. მარტივიანი, ოვანეს მარტივიანი.  
– თენგიზ, შენ ოვანეს მარტივიანი ხარ?  
– ამაზე აქ შევწყვიტოთ საუბარი. „კარონე“, ფულის აღებაზე დიდი დიდი, 2-3 დღე დავაგვიანდეს, მაქსიმუმ ხუთ დღეში გელოდები სოხუმში. რაიმე ცუდი გულში არ გაივლო და ფულის მოტეხვა არ გაბედი, თორემ...  
– გულის ჯიბიდან უშველებელი ყამა ამოიღო, – ამით გამოგჭირე ყელს.  
– არ მინდა სულ არც ერთი კაპიკი. რომ არ მომცეს ფული და დამიჭირონ, ვინა ჩემი პატრონი? – სცენა გაითამაშა სოსომ.

– გაგეხუმრე, – დაამშვიდა მარტივიანმა, – აბა, ახლა წადი და ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედე, მე უნდა დავიძინო...

გამოვიდა სოსო კუბიდან თავისი ჩემოდნით და მეზობელი ვაგონისკენ გასწია.

– რამე ხომ არ გჭირდებათ? – ჰკითხა ახალგაზრდა გამცილებელმა.  
– კი, თქვენთან აუცილებელი საქმე მაქვს, მინდა თხუთმეტ წუთში ერთიერთზე გესაუბროთ.

სოლიდურად გამოიყურებოდა სოსო, სერიოზული კაცის იმიჯი ჰქონდა. მართლაც დაბრუნდა თხუთმეტობედ წუთში და გამცილებლის კუბეში შევიდა. ვაგონი ნახევრად ცარიელი იყო, გარეთაც არავინ იდგა. სულ ათი წუთით ისაუბრეს. შემდეგ სოსო თავის ახალ ვაგონში გადავიდა. მალე თავის ჩემოდანთან ერთად დაბრუნდა და ისევ გამცილებელთან შევიდა...

მიდიოდა მატარებელი და ისე გადაკვეთა საქართველოს საზღვარი მოსაუბრეებს არც გაუგიათ...

– შევღვივართ სოხუმში, ჩამსვლელიები მოემზადეთ. – რამდენჯერმა ჩამოიარა გამცილებელმა კორიდორი.

ლამის სამი საათია. გაიღო ბოლო კუბის კარი, ხელჩანთით გამოვიდა გარეთ ელვანტურად ჩაცმული მამაკაცი, რომელიც სოხუმის სადგურში ჩასვლას აპირებდა, პირველ კუბემდე, რომლის კარი რატომღაც ღია იყო, დაუბრკოლებლად მივიდა, იქ კი, კორიდორის გასაშლელ სკამზე, ვიღაც თავჩაქინდრულ კაცს ეძინა, ფეხები წინ ჰქონ-

და გაწეული, მუხლებზე ეწყო ხელები და გაშლილი გახეთი, კეპიანი ქუდი უფარავდა სახეს.

– გამატარეთ, ჩავდივარ, – ხმამაღლა უთხრა მამაკაცმა.  
პასუხი არაა.

– გამატარეთ, ჩავდივარ. – მეორედ უთხრა და ფეხი მიარტყა მიძინარეს.  
პასუხი კვლავ არაა. ანერვიულდა მგზავრი და გახეთისკენ გაიწია, რომ თავზე დაეფხრიწა უზრდელი ლოთისთვის. წვდა თუ არა გახეთს, ადგილზე გაშეშდა, პისტოლეტის ლულა პირდაპირ შუბლში ჰქონდა დამიზნებული.

– სად გაატარო, შე ბოზო, სამი თვეა როსტოში დადევ. – უცებ წამოხტა „მიძინარე“ მამაკაცი, ელვის სიწრაფით უთავაზა პისტოლეტის ტარი ჯერ ყბაში, მერე კეფაში, შეაგლო გათიშული იმ ცარიელ კუბეში, ხელბორკილით მიაბა მაგიდას, პირზე გადასაწებელი გადააკრა და გამცილებლის კუბეში შევიდა. დამფრთხალ გამცილებელს ასე მანეთი მისცა და უთხრა, თუ საშუალება ექნებოდა, შამპანური ამოეტანა თავისი მისაყოლებელით. თვითონ აიღო თავისი ჩემოდანი და შევიდა იმ კუბეში, რომელიც მის მიერ აყვანილმა მსხვერპლმა რამდენიმე წუთის წინ დატოვა...

(გაგრძელება იქნება)





# ქ. ოზურგეთში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი აკურთხეს

22 მაისს, ქ. ოზურგეთში, გურიის ეპარქიის რეზიდენციის ეზოში წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სახელობის ტაძარი გაიხსნა.

ტაძარი გურიის მიტროპოლიტმა იოსებმა აკურთხა.

ტაძრის პროექტის ავტორი და მშენებელი – ინჟინერი ზურაბ გუჯაბიძეა, რომელმაც წინა წლებში ექაღისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და ბოსკაურის წმინდა სოფიას სახელობის ეკლესია ააგო.



## ეროვნული სამოსის დღე ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“



## ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და გუნდური მესამე ადგილი ჩვენია

20 მაისს ქ. ბათუმში, ფარიკაობაში სპორტის დამსახურებული მოღვაწის, თენგიზ მორჩილაძის სახელობის ტურნირი გაიმართა.

ასპარეზობაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა, ფარიკაობის სექციის სპორტსმენებმა მიიღეს.

შეჯიბრი ორ ასაკობრივ ჯგუფში ( 2004 - 05 წწ ; 2006 - 07წწ.) გაიმართა.

ოზურგეთელმა სპორტსმენებმა დაშინი ფარიკაობაში წარმატებით იასპარეზეს და ერთი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

გუნდურში კი ოზურგეთი მესამე ადგილზე გავიდა. ლევან ბოლქვაძე - I ადგილი ( 2007 წ.) გიორგი ფუტყარაძე - II ადგილი ( 2004 წ.) ოზურგეთის გუნდი ასპარეზობისთვის მალხაზ კვაჭაძემ მოამზადა.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +11+17  
24 მაისი ორშაბათი

წვიმა +11+17  
25 მაისი სამშაბათი

მზე, ღრუბელი +12+20  
26 მაისი ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი +12+24  
27 მაისი ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი +12+26  
28 მაისი პარასკევი

მზე, ღრუბელი +12+26  
29 მაისი შაბათი

მზე, ღრუბელი +12+24  
30 მაისი კვირა